

რ. ინანიშვილის მნის ზოგი თავისებურება

ჩევაზ ინანიშვილის ხელოვნება თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამ (დ. თევზაძე, ჭ. თითმერია, ზ. ჭუმბურიძე, აკ. ბაქრაძე, ვ. კოტეტიშვილი...) კარგა ხანია აღიარა. მიჩნეულია, რომ მწერალს საკუთარი მხატვრული პოზიცია აქვს, რომ „ჩინებული მოქართულეა“, „ენის წიაღის მესაიდუმლე“. მისი ცრაზა ბუნებრივია და მოქნილი, სტილი — ლაკონიური, რომ მის ენას ახასიათებს მოვლენათა პოეტური აღქმა, სიმბოლიზმება. მისი მოთხრობები, „მოზარდთა სულის დამაპურებელი, ფიქრთა აღმძრელი, სიკეთით აღმავსებელი“, ვაჟას „შვლის ნუკრის ულელშია შებმული და... იმ ფიქრს აგრძელებს“. აღნიშნულია ისიც, რომ ყოველივე ამას მწერალი აღწევს „სასაუბრო მეტყველების ელემენტთა გაძლიერებით, იდიომატიკის სიუხვით და სიტყვითა ახლებურად შეტრიალების გზით“. ასეთია საერთო აზრი.

რ. ინანიშვილი, მართლაც, ვაჟასავით ახლობელ გარემოს სთავაზობს მკითხველს. მის მოთხრობებში ნაცნობი წყალ-ჭალის ხმა და სურნელი ტრიალებს. მწერალი სწორედ მშობლიური უბნებიდან და „მყუდროებიდან“ გამოასხივებს უდიდეს სითბოს. ამ უბნების მკვიდრნი არიან ნეკრიფამიანთ და დაბძანდიანთ შთამომავალნი, ჯოხირეცხიანთ და უხნავიანთ წინაპარნი. ზოგიც ზედმეტი სახელით მოხსენიებული: ჭანჭლე, ძალათ კნიაზი, ტურა, გადაკვანძილი...

გარემოსთან შეხამებული ბუნება მწერალს სიყრმიდანვე შესთვისებია: „ჩვენი ჭალა“ და კატაწნორები, გრაფლა და ავშანი, ლერწამი და ჭილი... ბატიკბილა, ბერტყენა, კატაფშატა, დგნალები, ჯოჯოხეთა ბალახი... თითოეული მათგანი „კლდის ნაურით არის მორწყული“ და, როგორც თვით მწერალიც აღნიშნავს, „მათი სურნელება, სადაც უნდა იყო, ჩემს მიწას გაგახსენებს, ჩემს ველებსა და მთებს“<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, მწერალი ნაცნობ გარემოს დასტრიალებს.

<sup>1</sup> რ. ინანიშვილი, ზორი თეთრი მწევრვალი. თბ., 1979, გვ. 2.

რ. ინანიშვილის ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგის სიმდიდრე და მრავალფეროვნება ერთი თვალის გადავლებითაც კი ნათელია. ეს მრავალფეროვნება თანაბრად საინტერესოა როგორც საკუთრივ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, ასევე მწერლის ენისა და სტილის თვალსაზრისითაც.

საგულისხმოა, რომ ბევრი სიტყვა არც დასტურდება ლექსიკონებში. მწერალი ამგვარ სიტყვებს ხშირად ახასიათებს, განმარტავს. შაგალითად, **ილუნები**, რომლებიც ძირითადად მდინარის პირას ან მღამბობ ადგილებშია გავრცელებული, „ცოცხებივითაა აფშეკილი“<sup>2</sup>; „ჭანჭრობ ადგილებში ღელავს, ლიკლივებს ლელი, ლერწამი, ჭილი, ბატიკბილა“. „გოჭოხეთა ბალახის წევნს კბილის სამკურნალოდ იყენებენ“;

მწერლისავე განმარტებით, გოჭოხეთა ბალახი ეკლიანი, უფოთლო მცენარეა. იზრდება მშრალ კლდეებზე. ძალიან ჰგავს **ქრისტეს-სისხლას**, გავრცელებულია მწერლის მშობლიური სოფლის შემოგრენში, ხოლო ბატიკბილა — ჭილის ან ლელის ერთი სახეობაა, უფრო ლელისა. ძალიან ბრტყელი, უზარმაზარი, გიგანტური ლელია, თავკომბალასავით ჭოხები აქვს: „ბატიკბილიან ჭაობში ადამიანისათვის შეუღწეველი ჭაობები იყო“ — („ბ. ივ. ჭ.“).

მწერალი თავისი მოთხოვებით მივიწყებულ სიტყვებს აცოცხლებს, ლექსიკონის პასურ მარაგს ააქტიურებს და ამით ხალხის წიაღილიდან შეთვისებულ-შესისხლხორცებულ ლექსიკას, მის მნიშვნელობას წარმოაჩენს ლიტერატურული ენისათვის. ასეთებია, მაგალითად<sup>3</sup>:

ხაღძირი — ბოლო, უკანასკნელი კრიზისული წერტილი (რ. ი). კაცს შავი სატინის ხალათის საყელო საღარი მარაგი ამით ხალხის წიაღილიდან შეთვისებულ-შესისხლხორცებულ ლექსიკას, მის მნიშვნელობას წარმოაჩენს ლიტერატურული ენისათვის. ასეთებია, მაგალითად<sup>3</sup>:

(ამო) პატრიაქდება — ძალიან ღონიერად ამოდის (რ. ი.). ამო პატრიაქ კულან დგნალები, ილლუნები (ბ. ივ. ჭ.).

უმსრბნელად — ხელუხლებლად (რ. ი.). პოლკოვნიკის ეზო-ყურე უმსრბნელად არის შენახული (ც. გ. 219, 1).

ჩაგლა — ისე ძლიერად გაუხახუნა, თითქოს ჩაგალა (რ. ი.). ცხეობა ნალით ქვეჩაგალა (ბ. ბ. ჩ. 184, 4).

აირუმი — უცხვირბირო, გულდახურული ადამიანი (რ. ი.). დახე მაგ აირუმი (წ. ც. 76, 5).

წარუკა — გალეული, უნიათო, უხეირო (რ. ი.). მეხა კი დავაყარე მაგასაც თამაგის წარუკა (ც. ც. 65, 3).

ქერიგამიათბა<sup>4</sup> — საბავშვო თამაშია. მონაწილეობს რამდენიმე ბავშვი. ერთი

2 მაგალითები მოყვანილია მოთხოვებიდან: „სიმშვიდე ივრის ჭალებში“ („ლიტ. საქართველო“, 14.XII.1973, № 47).

3 ველა ნიმუშს მწერლისეული განმარტება ახლავს.

4 ვსარევმდლობთ ლ. ჭავახიშვილის საღიპლომო შრომით „რევაზ ინანიშვილის ენა“, 1977.

ზის, მეორე ჩაუდებს თავს კალთაში და არტყამენ. თუ ვერ გამოიცნობს ჩამრტყმელს, ისევ დაიხრება და მას ურტყამენ. თუ გამოიცნობს, ის დაიხრება, რომელმაც დაარტყა. თამაში გრძელდება ამ პრინციპით (ჩ. ი.).

ბიჭები თამაშობდნენ ქერიჭამიანბას და კოჭაობას (ს. ცხ. მ. 55, 14). და სხვა.

ამგვარი ნიმუშების წარმოჩენა მხოლოდ წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც კი ფასეულია. ამის ერთი ნიმუშია რ. ინანიშვილის მოთხოვნებში დადასტურებული ჩხნდე და მისი მწერლისეული განმარტება. ამ სიტყვას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ივ. გიგანეიშვილმა. წიგნში „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ — იგი წერს: „ჩხნდე ცოცხალი და დღესაც ხმარებული სიტყვა ყოფილა გარეკახურში და აქედან მხატვრულ ლიტერატურის ენაშიც შემოვიდა. ჩვენს ცნობილ მწერალს რ. ინანიშვილს ერთ-ერთ მოთხოვნაში ეს სიტყვა გამოყენებულიც იქვეს<sup>5</sup>. მოყვანილია საილუსტრაციო ფრაზაცი: „ხევში ერთი ნაკადულისოდენა მღვრიე წყალი მოდიოდა ქვებში, ჩხნდებში, ღორლებში“.

„რ. ინანიშვილის ცნობით, — განაგრძობს ავტორი, — გარეკახეთში (ს. ხაშმის მეტყველებაში) ჩხნდე არის „წყალში ჩაკიდებული (ჩაყრილი), ჩაწოლილი ხის წვრილი ტოტები და ფესვები, უმთავრესად ხმელი“. მისივე ცნობით, იხმარება, აგრეთვე, „ჩხნდე ფუძის შემცველი ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა აჩხნდევებული; ასე ეძახიან თურმეჭაობში ან ნამდინარევზე ერთმანეთზე მიჯრით მდგომ ან მიყრილ ხმელ წვრილ ტოტებს“<sup>6</sup>.

ამ სიტყვის დადასტურებამ თანამედროვე მწერლობაში შესაძლებლობა მისცა მკვლევარს, რომ გაესწორებინა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი აღგილი: უარყოფილ იქნა „ვეფხისტყაოსნისთვის“ — სრულიად შეუფერებელი მეტაფორა წამწამისა „გიშრის ხე“ და აღდგენილ იქნა ტაეპის ასეთი წაკითხვა:

„ჩემნი მომკვლელნი წამწამნი შევნი გიშრისა ჩხნდენა“?

ცხადია, გასწორების საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოწერულ ხელნაწერებია, რომლებშიც ჩხნდე სიტყვა დაცული იყო, მაგრამ უყურადღებოდ დარჩა, ალბათ, იმის გამო, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა მთლად ნათელი არ იყო.

ამრიგად, მწერალმა სალიტერატურო ქართულში გააცოცხლა სიტყ-

<sup>5</sup> ივ. გიგინე შვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, გვ. 117.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

ვა, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც კი მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვითაა დამოწმებული.

გარდა ამისა, მწერლის ენაში ყურადღებას იქცევს რეალურად არ-სებული ტრაპონიმები (მაგ.: მრუდეები, არყნარი, თელიანხევი, სამგლე ველი, ლაგაბაურა, შავკაციაანთ სერი...), და ანთროპონიმები და ზედმეტი სახელები (მაგ.: ბახა, ბახა, ყრუფ სვიმონა, ნაცრიკვერაანი, მარი-შაულაანი, მეუბრავიაანი...); თითქოს საგანგებოდაა ამ მხრივ აღწერილი და დახსასიათებული გარემო, რომელზედაც ავტორი მოვათხოვს. ეს აღწერა ბუნებრივია, ძალდაუტანებლადაა ჩაქსოვილი მოთხოვბებში. მაგალითად:

სერზე რომ ახვალ, უაშველად შეჩერდები, ქარს ამოიღებ, მიმოიხედავ... ეუჭ, რა სივრცეებია გადაშლილი შენ წინ! აქეთ, დასავლეთით — რიყეში ჩიყარგული იორი, იორს იქით, გორაზე — უჭარ მა და მუხ ხრ თვანი, ქვემოთ — მუღან ლო, — თათრების სოფელი, — იმის ქვემოთ — სართი ჭალა, იმის ქვემოთ — სასიანო, თეთრი ჭვა, ქოჩორა... დასცეკრი მაღლილინ და ასე გვონია, ამოდენა მიღამოს ბატონ-პატრონი შენ ხარ, გაიქნევ ხელს და ჭადოქარივით შემს ნებაზე აამოძრავებ ყველაფერს (შ. თ. მწვ. 288, 18).

„მერე აჟყვები შავკაციაანთ სერს. ჯერ ახვალ მუხიან ში, მერე და მერე ლვიაც გაძოერევა, წაგიცდება ხელი, მოგლეჭ ჩხელეტანაწილებიან ტოტს, გასრეს იმ წიწვებს და მთელ დღეს არ მოგშორდება ლვის სამური სუნი...“ (შ. თ. მწვ. 289, 15).

ზოგ მოთხოვბაში კი ანთროპონიმები და ზედმეტი სახელები იქცევს ყურადღებას. ჩ. ინანიშვილის ერთ-ერთი მოთხოვბა „გოხირეცხასი“ ასე იწყება:

ჩვენს სოფელში შვიდასზე მეტი კომლი ცხოვრობს. ყოველ კომლს, რა თქმაუნდა, თავისი გვარი აქვს, მაგრამ შეიძლება კაცის მოძებნა მაინც გაგიძელდეთ, რაღაც ერთი გვარისა ხშირად ოცო-ოცლათი კომლია. ამიტომ უშმიობესია ზეკომურის მეტსახელი იცოდეთ. მეტსახელი კი თითქმის ყველას ჰქვია: ნეკრიჭამიაანი, მგელიჭამიაანი, ლიტრიძირიაანი, დაბანდიანი, ვირავავიანი და ვინ ციის, კიდევ ვინ აღრა.

ჩემი ნათევამიღან ისე გამოდის, ეს მეტსახელები საქმის გააღილების მიზანთ უნდა შეერქმიათ გლეხებს ერთმანეთისათვის; შეიძლება ეს ნაწილობრივ ასეც იყოს, მაგრამ ზოგელ მეტსახელს რომ რაღაც სხვა საწყისებიც აქვს, რაღაც ლიმილმოლრეველი სევდიანი საწყისები, ეს უფრო სიურაცლებო უნდა იყოს ქვეყნის ასავალ-დასავალით დაინტერესებული ადამიანისათვის. მით უმეტეს, რომ „ადამიანები ტყუილ-უბრალოდ არაფერს არქმევენ სახელს.“

ავტორი ზოგჯერ ამგვარი სახელების ხალხურ ეტიმოლოგიასაც გვთავაზობს.

აქ წარმოდგენილი ლექსიკა ზომიერად, თითქმის თანაბრადაა მი-

მობნეული რ. ინანიშვილის მოთხრობებში. ეგვევ ითქმის საოცრად მეტყველი ნასახელარი ზმნების, აგრეთვე მიმღეობებისა და კომპოზიტების შესახებ, რომლებიც ძირითადად მსაზღვრელის ფუნქციით წარმოგვიდგება, ასეთებია, მაგალითად:

ც მ ა ც უ რ ა უ ლ ვ ა შ ე ბ ი ა ნ ი კ ი ნ ტ ი მ 59,13) გოგონა... გ ა პ რ ე-ხ ი ლ ნ ა წ ნ ა წ ე ბ ი ა ნ ი (ხ. ც. 8. 7,2), ტ ი ტ ე ბ დ ა ს ე ბ უ ლ ი ნ ა პ ვ ე ბ ი (ხ. ც. 8. 9,7), ც ხ ვ ი რ ც ჭ ვ ი რ ტ ი გ ო გ ო ნ ა (ხ. ც. 8. 21,12), გ ა პ ვ ე რ ი ლ ი ბ ი ლ ი კ ი ვ ი (ხ. ბ. ჩ. 10,34), მ თ თ ე ბ რ ვ ე ბ უ ლ ვ ე ლ შ ი გ ა ხ ვ ა ლ (ხ. ც. 8. 93,15), ზ უ რ-გ ი გ ა რ ქ ვ ა ნ ე ბ უ ლ ი ჰ ე მ ი ნ დ (ხ. ბ. ჩ. 14,21), კ ა ხ ე ლ ე ბ ი წ ა მ თ მ ჩ ა რ-თ ე ბ რ ვ ე ბ ი ა ნ (ხ. ბ. ჩ. 89,5), გ ა დ ა ი ბ რ ა ნ ჯ ე ბ ი ვ ი ლ გ ა მ ი ს (ხ. ბ. ჩ. 101,6), ა ჭ ი რ დ ი ლ ე ბ დ ა მ მ მ ხ დ ა რ ს გ ი ო (ხ. ბ. ჩ. 66,4), ბ ე რ დ ი ა შ ე მ თ ი კ ი თ ხ ა რ ტ ე ბ უ ლ ი (ხ. ბ. ჩ. 142,12), მ თ რ ი დ ე ბ უ ლ ი ს ა ნ ა თ უ რ თ ა ნ მ ი კ ი რ კ ი რ ტ ე ბ უ ლ ი (ხ. ც. 46,41). და ა. შ.

ეს მასალა ხელსაყრელ ფონს უქმნის რ. ინანიშვილის მოთხრობებს. ამ ფონზე გაღმოცემულ შინაარსს კიდევ უფრო მარჯვედ უსა-დაგებს მწერალი საგანგებოდ შერჩეულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიას, აგ-რეთვე, გრამატიკულ დიალექტიზმებს, რომლებიც პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება. მაგალითად: თანდებულთა და ზმნისწინთა დიალექტური ვარიანტები, როგორიცაა: მაიცა... (ხ. ც. 8. 37,22), მაეცის (ხ. ც. 8. 114,25), მაეზველენით (ხ. ც. 8. 36,17), ჩემზედა (ხ. ც. 8. 37,26). ბეგრის დაკარგვის შემთხვევები, სადაც დაკარგული ბეგრა ან სუბიექტური პირის ნიშანია, ან ძირული მასალაა. მაგალითად: გაყიდვის დარღი გაქ შენა? (ხ. ც. 8. 37,19), რომელი ფეხი აქ მოტეხილი? (ხ. ც. 8. 37,15), არი რამელა ამბარაში, რო ფრჩხილი მაინც მოსჭიდოს კაცმა? (ხ. ც. 8. 38,9), ვიცი რო? (ხ. ც. 8. 37,16), იქ ხო ნაზუქის სუნში დაიხტობოდი? (ხ. ც. 8. 37,25)... ე. წ. ე ლ ი ზ ი ი ს შემთხვევები: ვწიე ახე... (ხ. ც. 8. 37,12), აეგ ყრუვ სვიმანა (ხ. ბ. ჩ. 125,3), ცოტა გაუფრთხილდი ემაგ შეზას (ხ. ც. 8. 50,2) და ა. შ.

ამგვარი დიალექტიზმები მინიმუმამდეა დაყვანილი, სამაგიეროდ აქცენტირებულია ლექსიკა და ფრაზის აგების ხალხური ან მასთან მიმსგავსებული მოდელი, რომელიც უპირატესად განმეორების ხერხს ემყარება.

ამ მხრივ დამახასიათებელია ერთ-ერთი პერსონაჟის, იაკოფას, მეტყველება („ჩვენი ფურდედო მაისა“):

— ეე, მ ი თ თ მ ა რ ი ც ი შ ე ნ ი მ უ ც ე ლ მ ლ ი ღ რ ე ბ უ ლ ი ძ რ ხ ი ს ა მ ბ ა ვ ი ს დ ა დ ი ს, ს ა დ დ ა ბ ღ ღ ლ ტ ე ბ ა, ს ა დ დ ა მ ე რ ე ბ ა ს ხ ვ ე ბ ი ძ რ ხ ე ბ ი ა რ ი ა ნ, კ ა ც ო ?! გ რ თ ხ ე ვ შ ი რ ა უ ნ დ ღ ღ დ ა, ი ქ ა, კ ლ დ ე ზ ე, კ ა ც ო, რ ა ე გ უ ლ ე ბ ღ ღ ა ? გ ა ს, ს ა ე ვ ი რ -ვ ე ლ ი ძ ი რ დ ა მ ი ს !

— მ ლ ა შ ე ბ ა ლ ა ხ ი ც ი ს ი ქ ა დ ა ი მ ა ზ ე ჩ ა ვ ი ღ ღ ლ ა.

— გამლაშდეს და გამწარდეს ეგა. ეკი გამწარდა კიდევ. შენ რა, არ აქმევ მარილს, ან სხვები ძროხები ირ არიან, კაცო.. (ხ. ცხ. გ. 37,8).

ამ მონაკვეთში რამდენჯერმე მეორდება ქართველი გლეხეკაცისა-თვის დამახასიათებელი მიმართვა (კაცო!), ზმნები (დადის, დადის), ფრაზები (სხვები ძროხები არ არიან, კაცო..), რასაც რიტმი და დინა-მიკა შემოაქვს თხრობაში. აგრეთვე, ძალზე ბუნებრივია ძალდაუტანე-ბელი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია ფიქსირებუ-ლი ფორმისა: მლაშე — გამლაშდეს.

თანამედროვე მწერალთა შორის რ. ინანიშვილის ენა იმითაც გა-მოიჩინა, რომ მის მოთხრობებში უხვად გვხვდება იდიომატური გა-მოთქმები და მეტაფორული თქმები.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თანამედროვეობამ თითქოს შთან-თქა ხატოვანი სიტყვა-თქმა და იდიომატიკა. თანამედროვე მწერლო-ბის ენაც XIX საუკუნის მწერლობის ენასთან შედარებით ამ მხრივ გა-ღარიბებულია<sup>9</sup>. რ. ინანიშვილის პროზის ენაში კი ცნობილი იდიომე-ბის გვერდით, როგორიცაა:

გვას ბარაქა დააყარე (აღვ, გზას ბარაქა დააყარე) (ხ. ცხ. გ. 173,9); დამწხა (ამ სიღუვებზე ცოტა არ იყოს დამცხა) (ხ. ცხ. გ. 186,6); ზეთი ჩამოსლის ცხვირიდან (ბიკო, რა ზეთი ჩამოგივიდა ცხვირიდან), (ხ. ცხ. გ. 188,6); სიცილით კვდება (ცლგუჭა ცირნდა, კვდებოდა სიცილით) (ხ. ცხ. გ. 188,6).

— გვხვდება ნაკლებ გავრცელებული, ახალი წარმოშობის იდიო-მები, რომელთა სათავე ისევ და ისევ ხალხური მეტყველების წიაღია. მაგალითად:

უკუღმა დაჭედილი (უკუღმართი): ეგ სველები მაინც გაიხადე, უკუღმა და-ჭედილო (ზალ. 46,15).

ქვაბის ძირის ყარაული (მსუნავი): — აი, შენ უნდა ჩაგსკდეს ეგ მუცელი... შე მცვდარო, შე ქვაბის ძირის ყარაულო (ხ. ცხ. გ. 36,32).

შაიმუნის პერანგის ჩაცმა (დათრობა, დალუფა): ჩაცმოთ მაიმუნის პერან-გები? (სცხ. გ. 48,2);

უტკს აკრეცავ თოვლზე (ყველაფერი ისე კარგადაა განათებული): მთვარიანი ლამებია, ფეტკს აკრეცავ თოვლზე: (ზალ. 46,15) და ა. შ.

როგორია წარმოდგენილი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სტილისტი-კური ფუნქციები?

მწერლის ენაში შენიშვნული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ძირითადი

<sup>9</sup> თ. ინგია, იდიომებისა და იდიომური თქმების ისტორიისათვის XIX—XX საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, 1968, გვ. 8.

დამახასიათებელი ნიშანი მისი მეტაფორულობაა, საგნის ან მოვლენის ხატოვანი დახასიათება.

მაგალითად ფურდედო მაისას სახასიათო ნიშანი სიმსუნავეა, შენახიერ იაკოფასაც უყვარს სმუსვნა, თანაც ცოტა ზანტი ჩანს და მოუქნელი. მაგრამ ავტორი ერთხელაც არ ახსენებს ამ სიტყვებს. ამ თვისებებზე იგი მეტაფორულად მიგვანიშნებს.

— ი, შენ უნდა ჩაგსქდეს ეგ მუცელი, — მურმურებდა ბებია, — შე შეკვდარო, შე ქვაბის ძირის ყარაულო (ხ. ცხ. მ. 36,21). (იაკოფას მიმართ!). ამ თვისების გამო (და შეიძლება სხვა მიზეზის გამოც!) უკეთესად ვერც ქალაქში იცხოვდებდა იაკოფა: — იქ ხო ნაზუქის სუნში დაიხრიობოდი, შენმა თავის მჟემა! (ხ. ცხ. მ. 37,27) — წამოაყვედრის პაპა.

ამ აზრითაა ნახმარი მიმართებითი ზეღართავი სახელები: მუცელ-მოლორებული, მუცელმოქორებული, მუცელგასახეთქი... (მაისას მიმართ!), რომლებიც სხვა საგნებთან მიმართებით (ლორთან, ქორთან...) აღნიშნავენ მაისას მსუნავობას და ამდენად უფრო გამომსახველობითი არიან, ვიდრე სხვა სიტყვები იქნებოდა. რაც მთავარია, ავტორი „სადღაც“ არ ეძებს ამ სიტყვებსა და გამოთქმებს, არც ხელოვნური, გამონაგონი ფორმებით ამძიშებს თხრობას, „გვიამბობს იმას, რაც განუცდა, უნახავს, გაუგონია“<sup>10</sup>. ამიტომაც „სხედან“ ეს სიტყვები და გამოთქმები ტექსტში, როგორც შეუცვლელი და ერთადერთი. ესეც ანიჭებს ავტორის თხრობას გულწრფელობას და უდიდეს მთამაგონებელ ძალას. მაგალითად, მყითხველს სწამს, რომ სხვაგვარად ვერ დასწუყვლიდა გამწარებული ირინე თეთრაშვილი ჯალიაშვილს, რომელსაც მთელი სოფლისთვის ძირი გამოუთხრია და ახლა კიტრის ქურდობა არ აპატია ობოლ აფრის (თავისთავად ეს ფაქტიც აქარწყლებს აფრის „ბალოურ ეშმაკობას“):

— მაგის ჯანი კი დაიწვას, მაგისი! მაგ ტარტაროზია, მაგ ფერმის ვირთაგვისი (შ. თ. მწვ. 28,32); ამით გაგიხეოქავ თავს, შე დამბლავ, შე კოლმეურნეობის ჩრჩილო! (შ. თ. მწვ. 29,1); თავს გაუუპობ მავ სოფლის წურბელასა, მაგასა! (შ. თ. მწვ. 29,17).

ჩეენთვის საინტერესო შესიტყვებები: „ფერმის ვირთაგვა“, „კოლმეურნეობის ჩრჩილი“, „სოფლის წურბელა“ კომენტარს აღარ საჭიროებს.

ასევე მეტაფორულადაა გაღმოცემული მენახიერ იაკოფას გარეგნობა: „შავ ყბებზე თეთრ ეკლებად ეყარა რამდენიმე დღის გაუპარსა—  
— სა წერი, ზე კუ.

<sup>10</sup> ა. ბაქრაძე, სულის პური: რ. ინანიშვილი, საღმო ხანის ჩანაწერები, 1971, გვ. 193.

ვი წვერი (ს. ცხ. მ. 37,24). არაპირდაპირ მიგვანიშნებს ავტორი მის მგრძნობელობაზედაც: „... იაკოფამ გამხმარი ხელის ზურგი ცხვირთან გაისვა“... (ს. ცხ. მ. 37,25), რადგანაც ცხვირი ასწვა პაპას თანა-გრძნობამ.

ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ისეთი თვალსაჩინო შედარებები, როგორიცაა: „კალააყრილი სინივით აჭრელებული მთვარე ქედის ზურგს უფარება“... (ს. ცხ. მ. 61,9), „გამოისხამ მატლებივით გრძელ-გრძელ უვავილებს“ (ს. ცხ. მ. 26,15), ან ეპითეტები: „იქითა მხრიდან მთვარე ამოსულიყო, გვერდჩამოთლილი მთვარე“ (ს. ცხ. მ. 166,20), „წვრილი, უცყვითლებული თითები საბრალობლად უკანკალებდა“ (შ. თ. მწვ. 290,16) და სხვა.

ამგვარი გამოთქმები: „მატლებივით გრძელ-გრძელი უვავილები“, „კალააყრილი სინივით აჭრელებული მთვარე“, „ქვაბის ძირის ყარაუ-ლი“... ძალზე ნათლად და შთამბეჭდავად წარმოგვიდგენენ საგნებს. ეს არის ე. წ. „მხედველობითი ხატები“, რომლებიც წაკითხვისთანავე ხი-ლულია და თვალსაჩინო ადამიანისათვის.

რ. ინანიშვილის სტილის ხატოვანების ერთ-ერთი ნიშანი „მხედ-ველობითი ხატების“ სიუხვეა.

ამგვარ ხატებს ავტორი განსაკუთრებით მარჯვედ წარმოსახავს მი-მართებითი ზედსართავი სახელებით. ამ რიგის ხატებია თუნდაც ადრე დასახელებული ნიმუშები: ტოტებდაოსებული ნაძვები, ცმაცურაულ-ვაშებიანი კინტო, თეთრიალქნიანი გემი და ა. შ.

აგრეთვე:

... წავიდა ფეხებჩამოსორსლილი, ნახევრად გაშავებული (ს. ცხ. მ. 40,26);

პაპას და იაკოფას ტალახიანი ხელები განჩე ეჭირათ და ისე ილიმებოლნენ, ბებრულად, როგორდაც გვერდზეფადაქანებულები (ს. ცხ. მ. 40,26).

რ. ინანიშვილის თხრობას, გარდა მხედველობითი ხატებია, ახა-სიათებს მძაფრი სმენითი ეფექტები, თუ შეიძლება ასე ეწოდოს იმ ხმაბაძვით სიტყვებს, რომლებიც სიტუაციის შესაფერისად თითქოს ხმას გამოსცემენ. მაგალითად:

ჩენი მგელია ისევ დატრიალდა და — ტყაპ-ტყუპ, ტყაპ-ტყუპ — მიიბინა შიშველი ფეხებით სკმთან (ს. ცხ. მ. 205,31); ნელ-ნელა შეეცადა და — ტკაც! გახსნა (ს. ცხ. მ. 205,19); მაშინ ვიღებ გრძელ ხალხს, ავალ ზედ და, რომ დავკრავ, ხრარე! წამოვლენ უივილ-ხივილით მიწისკენ — ისმის ხმა: — ოუუ!

ამ ხმებში მაინც არჩევს დედისა და მამის შეშუოთებულ ძაბილს: — შვილოუ! (ს. ცხ. მ. 18,17).

თვით მწერალი ცდილობს, რომ ამ ხმამ სმენითი განცდა დაბადოს ადრესატში, სწორედ ამას მოწმობს მიმართვის დაბოლოება: — შვილოუ!

ამგვარ სმენით ეფუქტს ბაზებს არა მარტო შორისდებული, არა-  
მედ სხვა მეტყველების ნაწილებიც: არსებითი სახელი, ზედსართავი  
სახელი, ზმა... აქ ივარაუდება ისეთი ხმაბაძვითი სიტყვები, როგო-  
რიცაა:

ბღლარძაბღლურძი: ბღლარძაბღლურძით გადაღილნენ ლო-  
ბეგებზე (ცხ. გ. 100,24); ლაწალუწი: ლობებს ლაწალუწი გაქონდა  
(ცხ. გ. 100,25); ხრაგახრუგი: შეკირნულ შარვალის ტოტებს ხრაგახრუ-  
გი გაუდის (ცხ. გ. 59,8)... ან კიდევ: უკიქიდა: უკიქიდა მერცხლები (ცხ. გ.  
182,12); ჩხავჩხავა: ჩხავჩხავა ტალღები (ც. გ. 202,11); ლიკლიკა:  
ლიკლიკა ნაკაღლი (ცხ. გ. 118,16).

განსაყუთობით ძლიერია სმენითი ეფექტი, როდესაც ამ ხმაბაძვათი სიტყვებისაგან ნაწარმოებია ზმნა, რომელსაც ისედაც შემოაქვს დინამიზმი თხრობაში, როგორც მოძრაობის, მოქმედების გამომხატველ სიტყვას. ასე, მაგალითად:

დიმიტრი თავის კლიენტებზე — ვის ერთ, შე საბრალოვ! — შე-  
კითხული ებჯა ქვემოთან წყალი (b. ც. გ. 225, 15);

ଶବ୍ଦଗୀରେ—ଶବ୍ଦଗୀରେ, କ୍ଷେତ୍ରରୁଙ୍କି—ପ୍ରକାଶମାତ୍ର ୧୯୦୦,  
୦୩୯୩୨ ବେଳେ, କ୍ଷେତ୍ରରୁଙ୍କି (b. ୩୬. ୧. ୫୦, ୫).

უკანასკნელ მაგალითში სმენით განტლას მძაფრებს სიტყვების გამოერება (იწია, იწია), რადგანაც ამგვარი გამოერება ალიტერაციულია: თავის ეფექტი მომდევნო სიტყვებში აღმავალი ხაზით მიდის, რადგან თავის სმოვნების გარდა უ ხმოვანი მეორედება (იზმუვლა, იქშუტუნა).

სშირად სმენითი განცდა ერთი და იმავე ზმნის განმეორებითაა მიღწეული.

სკამი დაითრია, ახრიგინა, ახრიგინა, ბოლოს მაინც შიახრიგინა ქარაღასთან (ს. ც. გ. 205,9).

შეუდარებელია ზმინის გამეორებით გამოწვეული სმოვანების ეფექტი, მაგრამ მწერალი ზოგჯერ ისე აგებს წინადაღებებს, რომ ამ ეფექტს სახელთა განმეორებითაც ახერხებს. მაგალითად:

მ გ ე ლ ი ჩავიტოლით გეოლოგების ამონხრილ ხაროში, მ გ ე ლ ი ხალხო, მ გ ე ლ ი! ლილი მურა მ გ ე ლ ი (ს. ცხ. გ. 101, 18).

(განმეორებული სიტყვა შემასმენლის წინა!).

ეფექტი თანდათან ძლიერდება. ამაზე მიუთითებს ავტორის ული რემარკაცია:

ერთი ზარების ჩეკვალა ყლდა, თორემ ისე ნაშლვილი ომი გეგონებიდათ (ხ. ცხ. გ. 101, 20).

ეს თვალსაჩინოება, „მხედველობითი ხატები“ და „სმენითი ეფექტები“, როგორც ხალხური მეტყველების წიაღიძან აღმოცენებული და შეთვისებული, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მწერლის უშუალო კონტაქტისა მყითხველთან.

ეს უშუალობა რ. ინანიშვილს ერთგვარად ანათესავებს ვაჟა-ფშაველასთან, რომელთანაც უშუალობის გამოხატვის სათანადო ხერხებზე მიუთითა გრ. კინაძემ<sup>11</sup>. ესენია, ჯერ ერთი, თხრობაში ჩაურევ-ლობის ტენდენცია და, მეორეც, შერჩეული გრამატიკული ფორმების ხმარება, კერძოდ, მიმართვის ფორმებისა, ჩვენებითი ნაცვალსახელე-ბისა, ზმნათა II პირის ფორმებისა და ა. შ.

მსგავსი სტილური ნიმუშები რ. ინანიშვილის პროზასაც მოეპოვება. მაგალითად, მისი მოთხრობები: „საკვირველი ამბავი ტყეში“, „თეორცხვირიანი და შავცხვირიანი“, „ზეიმი სხვენში“ და ზოგიც სხვა ისეა დაწერილი, რომ მწერალი არ ერევა თხრობაში. როგორც აღნიშნავენ, „ეს ჩაურევლობა არის ერთი და მთავარი პირობა ნაამბობის უშველობისა და ნამდვილი უშუალობისა“<sup>12</sup>. ამისათვის გარკვეული გრამატიკული ფორმებიცაა მომარჯვებული: მიმართვის ფორმები, თხრობა II პირში, კითხვითი წინადადებები მიმართვისას. მაგალითად, დამახასიათებელია მოთხრობის ამგვარი დასაწყისი:

ციფვი ხომ გინახავს? დახატული ხომ მაინც გინახავს? აბა, მაშ ეცდევთ და პირდაბირ, ეს ამბავი დაეწყოთ, რომელიც ციფვების ერთ ოჯახს გადახდა (ხ. ცხ. გ. 123, 1). ან კიდევ: ხომ მიგდებთ ყურს? აი რა გულსაკლავ ამბავს მოგვითხრობენ შეისტორიენი (შ. თ. ტ. 72, 1) და კიდევ: ვიყი, რომ ბევრი კარგი ბერივაცი გინახავთ, მაგრამ იმისთან კონტაქტია, როგორც შიო პაპა იყო, არა მგონია სრვა შეგხვედრულეთ საღმე (ხ. ცხ. გ. 95, 1). ან დაბოლოვა: განა თქვენ კი არ გამოგიცდით ასეთი რამ? რატომ გაჩქმდით? (ხ. ცხ. გ. 183, 16).

### სხვაგან:

როგორ შეხვდებოდა სოლები შიო პაპას ცალყურა სახედას და მის პატარა ჩოკინას, უკვე თქვენ თვითონვე მიხვდებით. ამის მოყოლა აღარ გინდათ. ამას თქვენ თვითონვე მიხვდებით (ხ. ცხ. გ. 104, 20).

გარდა იმისა, რომ მწერალი ზმნათა II პირის ფორმებით, II პი-

<sup>11</sup> გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 227—228.

<sup>12</sup> იქვე.

რის ნაცვალსახელებით ამყარებს მკითხველთან გარკვეულ ინტიმს, ამ-  
ბაგს ისეთნაირად მოგვითხრობს, რომ ზეპირი მონაყოლის შთაბეჭდი-  
ლებას ქმნის: „ამის მოყოლა აღარ გინდათ, ამას თქვენ თვითონვე  
მიხვდებით“.

ესაა სწორედ მკითხველთან კონტაქტის რამდენადმე განსხვავებუ-  
ლი და, ამდენად, სპეციფიკური, რ. ინანიშვილისეული, ხერხიც. ავტო-  
რისეული თხრობის მანერა ისეთია, რომ ზეპირი მონაყოლის შთაბეჭ-  
დილებას ქმნის, მწერალი ითრევს თავის აღრესატს ამბის მსვლელო-  
ბაში. მხედველობაში გვაქვს მოთხრობის ამგვარი დასაწყისი:

რაკი ლაპარაკი პაპებზე ჩიმოვარდა, ერთი პაპის ამბავსაც გიმბობთ. ამ პაპის  
უშიშა ერქვა და კავკასიონის ჰექტში შეუსულ ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა  
(ხ. ცხ. გ. 105,1).

ამგვარი მიმართვები მოთხრობის თავსა და ბოლოში უფრო ხში-  
რია, მაგრამ თხრობის გამოსაცოცხლებლად ზოგჯერ მოთხრობის შუა-  
შიც გვხვდება. მაგალითად, იქვეა:

ეს ვთქვით თუ არ გვითქვამს, პაპამ რომ თოფი შეილს გადაულოცა? ეს ვთქვით  
მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გვთქვა, რომ ეს შეილი უფროსი შვილი იყო (ხ. ცხ. მ.  
106,23).

იქვე: მაგრამ ნუ გეშინიათ, პატარებო, უშიშა პაპა მაინც არ ჩაუსვამთ ციხეში  
(ხ. ცხ. გ. 115,1).

ბოლოს ავტორი ამავე ხერხით კრავს მოთხრობას:

ლაზლაძეარა ბიჭების სიმღერა კი, ეს თქვენც გვცოლინებათ, პატარებო, მაინც  
და მაინც დიდად არ ფსობს არსად... (ხ. ცხ. გ. 115,24).

მოხაყოლის ილუზიას ქმნის, აგრეთვე, სხვათა სიტყვის ო-ს გა-  
მეორება პირდაპირი ნათქვამით გამართულ დიალოგში, რომელსაც ავ-  
ტორისეული რემარკები აქვს. მაგალითად:

- გამარჯობათ, ბიჭებოო! — დაუძახა უშიშა პაპამ.
  - გაგიმარჯოს, — უპასუხეს მასავით „თეთრწვერა“ ბიჭებმა.
  - სახელას ხომ ვერას მაშოტინებთ, ბიჭებოო.
- თეთრწვერა „ბიჭებმა“ თეთრი წვერი მოისრისეს, თუშური ქუდები შეისწორეს  
და მერე ხელი დაუჭნიეს.
- მოდ, დაჭერი, ბიჭო, ეგრე დგომელა როდის იყო, რომ საქმე გაკეთებულია  
(ხ. ცხ. გ. 103,13).

რ. ინანიშვილისეული ხატები არა მარტო უშუალოა, არამედ აქ-  
ტიურიც, დინამიკური. ამას მწერალი ახერხებს განმეორების მხატვრუ-  
ლი ხერხით. მეორდება მარცვლები, სიტყვები, შესიტყვებები და ზოგ-  
ჯერ მთელი ფრაზებიც.

1. შარცვალთა გამეორების ნიმუშია:

მოდიოდა და მოხვნეშოდა (ს. ცხ. გ. 37,25), მწყრივად მოდიოდან გაყინულ ბილიქები და მოლაპარაკობდნენ (ს. ცხ. გ. 18,6).

თანაც ორივე მაგალითში პირველი წყვილები ნეიტრალურია (მოდიოდა, მოდიოდნენ), ხოლო მეორენი (მოხვნეშოდა, მოლაპარაკობდნენ) — ექსპრესიული.

ასეთივეა:

მიიბჭენდა თავის მაღალ ჯოხს და მიხვნეშოდა (ს. ცხ. გ. 38,19).

მსგავსი ბეგერების ამგვარი გამეორება ქმნის რიტმსაც და სხვა მნიშვნელობაც შემოაქვს. აქ ზმნისწინები მოქმედებასა თუ მოძრაობაზე მიუთითებს მაშინაც, როდესაც თვით ამ ზმნათა ფუქები ლექსიკურად მოძრაობას, გადააღილებას არ გამოხატავს.

ასეთებია: მიხვნეშოდა, მოლაპარაკობდნენ... საოცრად მეტყველი ნიცუშებია, აგრეთვე: შემოიკინა (ს. ც. ჩ. 142,12), მიკირკიტებულა (მგ. ლ. 46,41): „მორიდებული სანათურთან მიკირკიტებულა“ (ე. ი. ისე გულდაგულ მისულა, რომ ფეხს ვერავინ მოაცვლევინ ნებდა).

2. მეორდება ნებისმიერი მეტყველების ნაწილი. მაგალითად:

ა) ნაცვალსახელი.

ეგ თხა, ეგ მუცელმოქორებული ეგა, უცურებ მაგასა (ს. ცხ. გ. 41,4).

ბ) ზმნისართი.

მამა თითქოს ისევ დათვრა; ისევ დაიწყო სიამაყით გულზე ხელის ცევა, ისევ აჩეარებდა ნაცნობებს და უცნობებს და ისევ ეტრაბაებოდა (ს. ცხ. გ. 202,28). ძალიან, ძალიან ცუდია, როცა არ გაფერებენ (ს. ცხ. გ. 14,7).

ასეთი გამეორება თითქოს ლოგიკურ მახვილს უსვამს სიტყვას, აქცენტირებულია გამეორებული სიტყვები.

გ) ზედსართავი ზმნიზედური ან მსაზღვრელის მნიშვნელობით.

ჩუმად, ჩუმად ტიროდა (ს. ცხ. გ. 108,27); ეს არის შევკაციანთ სერის ლბილი, ლბილი თხემი (ს. ცხ. გ. 93,26); დაიწყო დიდი, დიდი მეგობრობა (ს. ცხ. გ. 25,112).

ზოგჯერ ეს გამეორება გაძლიერებულია ინტენსიონის გამომხატველი ძალიან ზმნისართით. მაგალითად:

უნდოდა წასულიყო მაღლა, ძალიან მაღლა (ს. ცხ. გ. 20,2); ეს ამბავი ცოტას, ძალიან ცოტასლა ახსოვს ქვეყანაზე (ს. ცხ. გ. 80,14).

ამგვარი გამეორება უფროობითი ხარისხის საკომპენსაციო საშუალება ჩანს. ზედსართავით გადმოცემული შინაარსი მეტი ინტენსიონითაა გამოხატული.

3. ხშირ შემთხვევაში მიჯრით მიყოლებულ სინტაგმებში მეორებია მსაზღვრული, საზღვრული კი იცვლება. ამგვარი ნაწილობრივი გამეორება; ერთი მხრივ, ქმნის რიტმს, ხოლო, მეორე მხრივ, მას შემოაქვს სიიხლის განცდა. მაგალითად:

დიდი ზამთარია, დიდი თოვლი დეკ, დიდი ღამე იწყება (ხ. ცხ. მ. 86, 1).

შავ ხევში, შავ წყალზე, შავ ქვებს შორის (ხ. ხ. ჩ. 67, 25).

სხვა შემთხვევაში მსაზღვრელი იცვლება. მაგალითად:

მეომარები მიხვდნენ, რომ ყველაზე კარგი, ყველაზე ლამაზი გვალაზე გულუხვი მიწაა (ხ. ცხ. მ. 79, 19). ხალხმა ყველაზე ლამაზი, ყველაზე სურნელოვან, ყველაზე საყვარელ გვაეიღს მისი სახელი დაარქვა (ხ. ცხ. მ. 80, 10).

ზედსართავების ცვლა აღმავალი გზით ხდება. პირველი შედარებით ნეიტრალურია; უკანასკნელი — ექსპრესიული.

4. უფრო ხშირად გამეორებულია ზმნები. მაგალითად:

იფიქრეს, იფიქრეს და ვეფხია მოიგონეს (ხ. ცხ. მ. 209, 9); უარა, უარა პაპმ მაისას და ძლივს წამოსცდა სანუგეშო სიტყვა (ხ. ცხ. მ. 40, 1). ჩახალნენ მატარებელში, იარეს, იარეს, შერე მატარებლიდან ჩამოვიდნენ, აეტობულში გადასხდნენ. ისევ იარეს, იარეს, იარეს და ბოლოს, როგორც იყო, მივიღნენ (ხ. ცხ. მ. 8, 7).

ზოგჯერ გამეორებულ ზმნა-შემასმენლებს და კავშირი აერთიანებს. მაგალითად:

კაცები კიდევ გამოიტანდნენ მსხვილ, ხორკლიან სახრეს და უცხუნებდნენ და უცხუნებდნენ (ხ. ცხ. მ. 192, 22); ყველანი იცინოდნენ: მამაც, დედაც, ბავშვები ხომ იცინოდნენ და იცინოდნენ (ხ. ცხ. მ. 22, 11).

ამგვარად გამეორებულ ზმნებს მრავალგზისობის შინაარსი შემოაქვთ. გარდა ამისა, ამგვარი სახეები მკითხველს საკუთარ ნიადაგს იგრძნობინებს და ქართული ზღაპრის მკეიდრ ასოციაციებს უქმნის. კერძოდ: იარეს, იარეს, იარეს და ბოლოს, როგორც იყო, მივიღნენ... ან კიდევ: შავ ხევში, შავ წყალზე, შავ ქვებს შორის და სხვა ამგვარი.

5. ზოგჯერ მომდევნო წინადადება იწყება იმ სიტყვით ან შესიტყვებით, რომლითაც მთავრდება წინა წინადადება. მაგალითად:

...წელში გმართული, თავაწეული ზის ცხენზე. ცხენს მძიმე ხურჯინი ჰყიდია (ხ. ცხ. მ. 31, 17); არც ეს ლერწები იყვნენ, არც ბებერი წნორები. ბებერი წნორები, როგორც ყველა ბებერი საღამო ხანს, უკვე სოველმდნენ (ხ. ცხ. მ. 16, 12); მაისამ თავი ძირს დახარა, კისერი გამოიგრძელა, თვალები და სუკი... თვალები და სუკი დედა და მე დავინახე, რომ ნაცრისფერ ბებებზე ნელ-

ნელა ჩამოსდიოდა ც რ ე მ ლ ი. შეც ც რ ე შ ლ ი მომადგა და უკან დავიწიე; (ხ. ცხ. გ. 39,1).

ასეთი პაუზიანი გამეორება თითქოს თხრობის უწყვეტ ხაზს ქმნის, კრის ამბავს. იგრძნობა, რომ პაუზა ბუნებრივი თხრობის აუცილებელი კომპონენტია. იგი ივარაუდება გამეორებული სიტყვის მომდევნო კავშირის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში არავითარი სასვენი ნიშანი არ იხმარება. ასე მაგალითად:

წასასულელად გ ა ე მ ზ ა დ ნ ე ნ. გ ა ე მ ზ ა დ ნ ე ნ და ერთმანეთს გადახედეს — აბა ვინ უფრო გაძლაო. გ ა დ ა ხ ე დ ე ს და ელდანაცემის შიში ჩაუზგათ თვალებში (ხ. ცხ. გ. 99,26).

6. რ. ინანიშვილის ფრაზეოლოგიას ახასიათებს, აგრეთვე, შემასმენლებით შერწყმული წინადადების ხშირი ხმარება. მათგან გამოვყოფთ ისეთებს, რომლებშიც შემასმენლად წარმოლგენილია საპირისპირო ზმნისწინანი ზმნური ფორმები. მაგალითად: მე ავხტო და დავხტო (ხ. ცხ. გ. 46,9).

ასეთ წინადადებაში, ჩვეულებრივ, საპირისპირო შინაარსის შემასმენლები მეორდება:

ა დ ი ს და ჩ ა დ ი ს, ა დ ი ს და ჩ ა დ ი ს, თან სულ კისკისებს (ხ. ცხ. გ. 29,26). ჩ ა ს ვ ა მ დ ნ ე ნ სასიამოვნო წყლით საესე აბაზანაში და ამოიყვან დ ნ ე ნ, ჩ ა ს ვ ა მ დ ნ ე ნ და ა მ ო ი ყ ვ ა ნ დ ნ ე ნ (ხ. ცხ. გ. 109,18). საწვიმარი აიწევს და დაიწევს, აიწევს და დაიწევს (ხ. ცხ. გ. 36,10).

ასეთ წინადადებებს რომ დინამიკურობა და ექსპრესიულობა შემოაქვთ თხრობაში, ერთი თვალის გადავლებითაც ნათელია, მაგრამ ეს მაინც-უკეთ ჩანს გაბმულ ტექსტში, შინაარსთან მიმართებაში. მაგალითად, უკანასკნელი წინადადება: საწვიმარი აიწევს და დაიწევს, აიწევს და დაიწევს — მენახირე იაკოფას გულისცემას გამოხატავს. სხვაგვარად, უფრო თვალსაჩინოდ და ხატოვნად, ალბათ, ძნელია ამ განცდის გადმოცემა.

7. გამეორებული სიტყვები და შესიტყვებები ხშირად სინტაქსურ პარალელიზმს ქმნის. თითქოს საერთო განწყობილების შესაქმნელად ავტორი ერთი ნიშნით წარმართავს თხრობას. მაგალითად:

მ შ ვ ი დ ა დ ანათებდა მზე, მ შ ვ ი დ ა დ იდგნენ ხეები (ხ. ივ. ვ.). (მეორდება უითარების გარემოება, იცვლება ქვემდებარე და შემასმენელი).

ე ს დ ა ი ნ ა ხ ე ს ნაძვებმა, ე ს დ ა ი ნ ა ხ ე ს ფიჭვებმა, ე ს დ ა ი ნ ა ხ ა თვით მარადნალელიანმა ლამებაც (ხ. ცხ. გ. 10,20).

(მეორდება პირდ. დამატება და შემასმენელი, იცვლება ქვემდებარე).

8. ხშირად გამეორებულია არა მარტო სიტყვები და შესიტყვებები, არამედ წინადადებები და ზოგჯერ მთელი პერიოდებიც კი, რომ-

ლებიც, აგრეთვე, სინტაქსური პარალელიზმის ასოციაციებს იწვევენ.  
მაგალითად:

შესტება პატარა ჩოკნა, გადატრიალდება ჰაერში და ჰოპ! —  
ისე კონტაქტი დგას ოთხვე ფეხზე მწვანე ბალახებში. შეტება  
შიო პაპაც, დაპატარავებული შიო პაპაც, გაღატრიალდება ჰაერში და ჰოპ!  
ისევ კოტებად დგას ორვე ფეხზე მწვანე ბალახებში. გადაკონტრიალდება  
ჩიკინა. გადაკონტრიალდება შიო პაპაც. იცინის ჩიკინა და იცინის  
დასატარავებული შიო პაპაც (ხ. ცხ. გ. 89, 11).

როგორც ვხედავთ, მეორე წინადადებაში გამეორებულია<sup>1</sup> არა  
მარტო წინადადების წევრები, არამედ წინადადების მთელი კონ-  
სტრუქცია. მომდევნო პერიოდს პირველისაგან ჩართული სიტყვები  
და შინაარსობრივი აუცილებლობით შეპირობებული ლექსიკური ერ-  
თეულები განასხვავებს, ბოლო წინადადებები კი წევლებრივი სინ-  
ტაქსური პარალელიზმის ნიმუშია.

9. განსაკუთრებით ყურადღებას იძყრობს ფრაზის აგების ერთი  
ხერხი: მწერალი ერთმანეთის მრყოლებით ხმარობს შემასმენლებით  
შერწყმულ წინადადებას. ასეთ შემთხვევაში დამახასიათებელია ბოლო  
შემასმენლის გამეორება იმ დამხმარე სიტყვებითურთ, რომლებიც მას-  
თანაა დაკავშირებული. ასეთი გამეორება განწყობილებას სტაბილურს  
ქმნის. მაგალითად:

სცემებს მგლის ლეკვებს და მაინც ვერ მოისვენეს, სულ ქამრით აუკრე-  
ლეს, აულილავეს კანი და მაინც ვერ მოისვენეს (ზგ. ლ. 14, 14); ან კიღვა:  
ძლიეს ერთი მეგობარი გაჩინეს და ისიც დაკარგეს, არ გაუფრთხილდნენ და  
დაკარგეს (ზგ. ლ. 6, 5).

10. ზოგჯერ მწერალი თხრობას იწყებს მარტივი წინადადებით,  
მაგრამ ისე აგებს მომდევნო შერწყმულ წინადადებებს, რომ პირველი  
ფრაზა აუცილებელი კომპონენტი ხდება, როგორც უკანასკნელი შე-  
მადგენელი, შერწყმული წინადადებისა. მაგალითად:

კაცი უგუნებოდო იყო. თოხი აიღო, ციდაზე მოსული კარტოფილი  
გათოხნა, მაინც უგუნებოდო იყო. სერჩე ავიდა, ფიჩის დიდი კონა შეკრა,  
ჩამოათრია, მაინც უგუნებოდო იყო. სოფელ-ქვეყანაში გავიდა, სხვა კაცებში  
ჩაჯდა, ხამი სიგარეტი მოსწია, მაინც უგუნებოდო იყო (ხ. ხ. ჩ. 3, 1).

აშკარაა, რომ მწერალს აქვს გარევეული საკვანძო ფრაზები, რი-  
თაც პერსონაჟის ხასიათს თუ განწყობილებას გამოკვეთს. ამ შემთხ-  
ვევაში მთავარი მაღომინირებელი ხაზი უგუნებობაა და ეს განწყობი-  
ლება გმირის უხმო საქმიანობაშიც ვლინდება, რადგანაც ეს საკვანძო  
ფრაზები პერიოდულად მეორდება.

11. ფრაზას, რომელიც ერთი შეხედვით მხატვრულ ღირებულე-  
ბას მოქლებულია, გამეორება სასურველი შინაარსით ტვირთავს, გა-  
მომხატველობითობას, ექსპრესიულობას ანიჭებს.

... როდესაც მაისას ამბავი შეიტყვეს („ჩვენი ფურდედო მაისა“), იტეხეს „ქალებმა ვაი-ვიში“ და ბებიამ თავისებურად შეამკო მენაზირე იაკოფა: „აი, შენ უნდა ჩაგსკდეს ეს მუცელი. შე მკვდარო, შე-ქვაბის ძირის ყარაულო!“ (ს. ცხ. მ. 36,21).

ამას მოსდევს პაპის პასუხი, საიდანაც ჩანს, ჯერ ერთი, მისი კა-ცური დამოკიდებულება მენაზირისადმი (არ უნდა ვინმე მასზე ალა-პარაკოს!) და მერე მისი ხასიათიც: პაპის ბრძანება ოჯახის წევრების-თვის კანონია.

— „კარგი, ჰო! შინელი მომეცით!“ — ბრძანა პაპამ (ს. ცხ. მ. 36,24). პაპის ამ თვისებას ამკეთრებს მომდევნო ფრაზაც: — „შენ სადღა მი-ებზაკუნები, შენა!“ — დამიტატანა დედამ, მაგრამ პაპამ ისევ მოკლედ ბრძანა: „ეგ წამოვიდეს, ეგ დიდია“ (ს. ცხ. მ. 37,1).

მიუხედავად იმისა, რომ დედას ნამდვილად არ უნდოდა ბიჭის გაშვება, (ამაზე მიუთითებს შესაფერისად შერჩეული ლექსიკა: მიებზა-კუნები, დამიტატანა...), დიალოგი არ გრძელდება სწორედ იმიტომ, რომ პაპის ბრძანება დედისთვისაც კანონია.

ამ განმეორებით ავტორმა პერსონაჟის ერთი თვისება გამოკვეთა.

რ. ინანიშვილის თხრობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი შეკუმშულად, დაწურულად წერაა. ერთ-ერთი ხერხი ამგვარად წერისა ცელიფსური კონსტრუქციის გამოყენებაა. წინადადებაში გამოტოვებულია აღვილად სავარაუდებელი სიტყვები. ზოგჯერ მთელი პასაკებია ამგვარი კონსტრუქციით ნაწერი. მაგალითად:

იმ ერთ ხაროში ჩავარდნილ მგელს კი, ეს უკე იცით, ერთი ტყვიაც მოეროდა. და მოერთა კიდეც. დაეჭახა ერთი ცხელი ტყვია და მაშინვე წააქცია. მაგრამ ის ერთი ტყვია არ, აკმარეს, ვაითუ ცოცხალია, კიდევ ცხრა დაახალეს. ამოათრისე, დაიმელავეს ყაბობის მცოდნებმა, დაპკიდეს ხის ტოტზე, ჩამოატყავეს, ხორცი ძალებს შეიყარეს და ტყავი... ტყავი ესაო (ს. ცხ. მ. 101,23).

პირველი წინადადების შემდეგ უველგან, გამოტოვებულია მგელი, როგორც სხვადასხვა წევრი. წინადადებისა, აგრეთვე შემასმენლები: „იფიქრეს“, „მივცეთო“ და სხვ. მაგრამ ამგვარ დაკლებას გაუგებრობა კი არ შემოაქვს თხრობაში, პირიქით, თხრობა მსუბუქად, დინამიკურად წარიმართება. თითქოს მონახაო მწერალმა ქართული, ბუნებრივი შეტყვლების ყალიბი.

ზოგჯერ ზმა-შემასმენელს ცვლის შორისდებულის მაგვარი გამო-თქმა, რომელიც ჩავარდნილი სიტყვის ადგილს იკავებს. მაგალითად:

ზოგი კაქალი ველაზ მოითმენს, ისკუპებს და — ტყავში — ძირს, ბალახებში (ს. ცხ. მ. 26,23).

ან კიდევ:

ფეხსაცელში კი წყვეტის ფეხი, არც პალტო ჩაუცემთ, არც ქუდები დაუსურავთ, და — ა ა ი დ ა! პირდაპირ თოვლში თავიანთ ძალებისაკენ (ს. ცხ. მ. 101,10)

და სხვა. მრავალი.

ელიფსური კონსტრუქციები უფრო ხშირად დიალოგში გვხვდება. ავტორი ზოგჯერ ერთხელ ხმარობს და მერე უგულებელყოფს კითხვა-მიგების ფორმულებს: „ჰყითხა“, „თქვა“, „უთხრა“. ამის შესანიშნავი ნიმუშია:

— სად მიხვალ? — იყითხა გოგიამ.

— შენ სადღა მიხვალ?

— მე თქვენთან, მამაჩემმა, გამაშენი ჩვენსა გადმოვა-დე სო, ბახაც წამოიყვანოსო.

— მეც თქვენთან მოვდომდი; მამაჩემმაცა, მამაშენი ჩვენსა გად-მოვადესო, გოგიაცა (ს. ხ. ჩ. 120,11).

წინადადებებს არც ავტორისეული რემარკა ახლავს და თანაც გა-მოტოვებულია სხვა, ადვილად სავარაუდებელი წევრები, განსაკუთ-რებით შემასმენლები და კავშირები.

სხვა მაგალითებია:

— ვიქეიფორ, მაშ!

— ვინ გაპბუმბლავს და გააკეთებსო!

— ვინაო, ვინაო და მზიაო! (ს. ცხ. მ. 84,19).

## ან კიდევ:

— როდის მოვა, მამიკო, თოვლი?

— ხმა გითხარი, შვილო, შეიძლება ამაღამაც მოვიდეს, ცა ისეა მოლრუბლული.

— დუდა, მამიკო? (ს. ცხ. მ. 28,30).

აქ, გარდა იმისა, რომ შემასმენელთან ერთად დროის გარემოებაა გამოტოვებული, გაერთიანებულია სხვადასხვა შინაარსის სიტყვები (თოვლი და დედა) და ეს მოულოდნელობაც ქმნის ეფექტს, რაღანაც ასეთი მოულოდნელი დაკავშირება ჭეშმარიტად ბავშვის ფსიქოლო-გიის გამომხატველია. ამ მხრივ სანიმუშოა პატარა ბიბოს ფიქრები:

ილუსტრა ბიბო და თან ფიქრობს... უუ რაზე ათარ ფიქრობს, ჩამდენი რამაც ამ ქვეყანაზე საფიქრალი! მამა ჯერ არ დაბრუნებულა ყიზლარიდან. მი სიგრძე გზავ აქეთ — შავი კლდეები, იქით — ფაფარაურილი თერგი! პაერშ კიდევ ნისლებია გაა-კიდებული, თანაც ათასი მოვრალი შოფერი დადის, ათას სახლობავა... მამა კიდევ ტიტრია, სულ ჩქარობს. ნეტავ რა ეჩქარება! როცა ნელა მიღიხარ, განა მაშინ უფრო კარგად არ ჩანს ყველაფერი? მერმის შენც წაგიყვანა. ეუჰ, რა იქნება?! ნეტავ მართლა მოერევა დათიკაანთ ძალია ჩვენსა? ერთი, კომშეც უნდა გამოვ-ცალო ჩემი წალლუნა, კოშმი მაგარაო... ილუსტრა, ილუსტრა ბიბო, ფიქრობს, ფიქ-რობს და ჩემინება ასე... (ს. ცხ. მ. 83—84).

განსაკუთრებით ძლიერია მოულოდნელობით გამოწვეული ეფექ-

ტი, როდესაც მწერალს ეს მოულოდნელობა მხატვრული ხერხის სი-  
მაღლემდე აპყავს. ასეთ შემთხვევაში ავტორი მკითხველს ანდობს ზოგი  
სურათის წარმოსახებს, რაზედაც თვითონ კრინტიც არ დაუძრავს. ამ  
შერივ სამაგალითოა „შორი თეთრი მწერვალი“. მხოლოდ მოთხოვ-  
ბის ფინალი, ისიც უკანასკნელი წინადადება („ქრისტი ტრამვას ბუ-  
გელმა კაშაშა, ბრაზიანი ცეცხლი გაუჩინა მავთულს“) გვაგებინებს,  
რომ ამბავი ქალაქში სდება, რომ თითქმის მთელი მოთხოვობა ფიქრე-  
ბია თავის წყალ-ჭალის ხმებსა და სურნელს მოცილებული ბიჭისა, რო-  
მელიც თურმე გაკვეთილზე ზის, მაგრამ ოცნებით კვლავ თავის ნაფე-  
ხურებს ეფერება, რომელიც სოფელში დატოვა, შავკაციანთ სერჩე,  
მუხიანში თუ თეთრქვაში. რომ სევდიან ოცნებას ველარ გაექცა და  
„ორიანი გაიკრა“, თორემ ბიჭი არც უგულისყრო ჩას, არც უდარ-  
დელი: „მის გვერდით მჯდარმა გოგონამ შეამჩნია, რომ წვრილი, შავ-  
ყვითელი თითები საბრალობლად უკანკალებდა“ (შ. თ. მწვ. 290,10).

თავდება მოთხოვობა და მკითხველში ერთხანს რჩება სევდა სახლს  
მოცილებული სოფლელი ბიჭისა, მონატრება თავისი მიწისა, რომე-  
ლიც, ვინ იცის, ახლა ატალახებულიც კია („საურმეში ჩარჩენილი ტა-  
ლახი ლამაზად იქნება გაკვეთილი ტყიდან მომავალი ოთხთველების  
მიერ“ (შ. თ. მწვ. 287,6)). რომ იქ „ახლა უკვე გახურებული არყის  
ხდაა და წყალი, ალბათ, ცოტა დვინისფერიც იქნება. სუნიც დვინისა  
იდგება, დვინისა და კაკლის წენგოხის“.

... და ბიჭთან ერთად ხედავ რუში მორაკრავე მომწვანო წყალს,  
შიგ ამოსულ ცხვირსატეხელებსა და მატიტელებს, რომლებიც ქანაო-  
ბენ, თრთიან. ხედავ, რომ „უსუნერუჟი მოსდებია ფოთოლგაცვივნულ  
ვენახებს. შიგღაშიგ სხვადასხვა ფერის ხბორები გაფანტულან და გუ-  
ნებაგამორჩევით სძოვენ... ვენახების თავში გულაბების ფითრიან ტო-  
რებს ფათქაფუთქით და წრიპინით ესევიან ჩხართვები. იმ გულაბების  
უკან, გაჭუცულ სერზე, არქაული სიმშვიდით დაფამფალებენ ჭუჭყი-  
ანი, მატყლში ძურწააჩაკრული ცხვრები“ (შ. თ. მწვ. 287,16).

ასე კინოკადრებივით წარმოისახება და ერთმანეთს ცვლის ძალზე  
ცოცხალი და ცხოვრებისეული ხატები, რომლებიც მთელი თავისი  
მშევრიერებით შეგაგრძნობინებენ გარესამყაროს: ჩხვლეტანაწიწვე-  
ბიანი დვინის სამურ სუნს, შავკაციანთ სერის ლბილ თხემს, წმინდა  
ქუჩი ბალახით მოთებოვებულ ამობურცულ ველს და ყველაფერ იმას,  
რაც „აუწერელი ძალით იზიდავს აღამიანის თვალს“ (შ. თ. მწვ. 289,29).

ეს მიზიდულობა ამ მთებსა და ველებს, ნაკადულის ლიკლიქსა და  
წყალჭალის ხეგებს, დვინისა თუ დვინის სამურ სუნს ანდამპტივით შე-  
მოაქვთ რ. ინანიშვილის მოთხოვობებში. თავისთან გიტოვებენ, გაფიქ-

რებენ, ერთხელ წაკითხულს ხელმეორედ განგაცდევინებენ და უფრო  
შეტსაც გაგრძნობინებენ, ვიდრე სიტყვებითა და წინადადებებით ითქვა.

„მხედველობითი ხატების“ სიუხვე, „სმენითი ეფექტების“ სიმძაფ-  
რე, „მოულოდნელობით გამოწვეული ეფექტი“, გამეორება და ელიფ-  
სი მკითხველს ბუნებრივი, მშობლიური მეტყველების გარემოცვას  
უქმნის და საკუთარ, ეროვნულ ნიადაგს აგრძნობინებს, როგორც ბევ-  
შვობიდან შეთვისებული ხმები ქართული ზღაპრისა.

ამაშია რ. ინანიშვილის ენის სიძლიერე.

აქ წარმოდგენილი თავისებურებები მხოლოდ რამდენიმე დამა-  
ხასიათებელი ნიშანია მწერლის ენისა.